პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 30 მაისი 1925 წ. | წელიწადი მეხუთე | ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი ჯარისკაცი

№ 119 (817) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

ორშაბათს, ივნისის 1-ლს, საღამოს 6 საათზე, ტფილისის აღმასკომის დარბაზში მოწვეულია ტფილისის საბჭოს ყველა სექციების ბიუროს შეერთებული სხდომა.

**დღის წესრიგი:**

1) საბჭოს სექციების მუშაობის გეგმის განხილვა
2) სექციის წევრების განაწილება.

ყველა სექციის ბიუროს წევრების და კანდიდატების, სექციის თავმჯდომარეების და ქვე-სექციების მუშაობის ხელმძღვანელების დასწრება სავალდებულოა.

**ტფილისის საბჭოს სექციების მუშაობის ხელმძღვანელი არ. რუხაძე.**

## სამხკორო, უფრო ხშირად სწერე პარტიულ ცხოვრების შესახებ!

ამ ბოლო ხანებში კორესპონდენციების მოწოდება პარტიულ ცხოვრების და მუშაობის შესახებ თითქმის სრულიად შეწყდა. ჩვენ არ ვიცით რა არის ამის მიზეზი, მაგრამ რომ პარტიული საქმიანობა ამ უკანასკნელად სუსტად შუქდება ჩვენს გაზეთში ეს კი უდავო ჭეშმარიტებაა.

ცხადია უპირველეს ყოვლისა ეს ნაკლი უნდა მიეწეროს ჩვენი სამხკორების გულგრილობას.

პარტიული მუშაობა საზაფხულო პერიოდში ღებულობს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ამ დროს პარტიული მოღვაწეობის ფარგლები ფართოვდებიან.

მთელი პარტიული საქმიანობა ბანაკობის დროს მჭიდროთ გადაბმულია მთელი წითელი ჯარის მიმდინარე მეცადინეობასთან და მუშაობასთან. რამდენათ პარტია აქტიურად იღებს მონაწილეობას ყველა ამ ამოცანების გადაჭრაში, რომელიც საბანაკო პერიოდში უძევს მთლიანად წითელ ჯარს, იმდენათ უფრო წარმატებითი და ნაყოფიერი იქნება ამ ამოცანების ცხოვრებაში გატარება.

წ. ჯარის პარტიულ ორგანიზაციების წინაშე აგრეთვე მრავალი ამოცანები დგანან სოფლის და წითელი არმიის მჭიდროთ დაახლოების საქმეშიც. თითეული პარტიული ნაბიჯი ამ მხრივ უნდა ხორციელდებოდეს ნაწილის პარტორგანიზაციის თაოსნობით და ინიციატივით. საერთოდ ჩვენ აქ არ შეუდგებით ყველა იმ ამოცანების ჩამოთვლას, რომელიც წინ უძევს მხედრო პარტიულ ორგანიზაციებს მიმდინარე საზაფხულო პერიოდში.

ჩვენ მხოლოდ ვამბობთ, რომ ეს ამოცანები მეტად დიდი მნიშვნელობის არიან, რომელთა წარმატებით გატარებისაგან დიდათ დამოკიდებულია მთელი ჩვენი წითელი ჯარის მუშაობის ნაყოფიერება ამ ზაფხულში. ამიტომაც ჩვენი სამხკორების დუმილი ამ მხრივ პირდაპირ მიუტევებელი დანაშაულია.

საჭიროა სისტემატიურად, დაწვრილებით და რაც შეიძლება შინაარსიანად პარტიული ცხოვრების და მთელი მუშაობის გაშუქება ჩვენს გაზეთში. ეს მოგვცემს საშუალებას ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ რამდენათ პარტიული ორგანიზაციები წარმატებით ანხორციელებენ მათზე დაკისრებულ ამოცანებს და რა მიღწევები და ნაკლი აქვთ ამ მხრივ.

ამრიგად პარტიულ მუშაობამაც აგრეთვე დიდათ უნდა მიიპყროს სამხკორის თუ პარტკორის ყურადღება.

დასასრულ ერთი აუცილებელი დარიგება ჩვენ პარტკორებს და სამხკორებს. პარტიულ ცხოვრების და მუშაობის გაშუქება უნდა ხდებოდეს რაც შეიძლება კონკრეტიულად, უნდა სწეროთ ის, თუ რა გაკეთდა და რა ნაკლია. ხშირად ჩვენი პარტკორები სწერენ იმაზედ რაც მეორე ხარისხოვანია, ხოლო მათ ყურადღების გარეშე რჩება ის, რაც მნიშვნელოვანი და მთავარია.

მაგ. სამხკორი სწერს პარტკრების შესახებ. თავის კორესპონდენციაში ის უმთავრესად ჩერდება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოხსენებაზე, და დასასრულ მხოლოდ ორიოდე სიტყვით მოიხსენიებს: „დასასრულ უჯრედმა გაარჩია რამოდენიმე ამხანაგის განცხადება პარტიაში შემოსვლის შესახებ“. იმ დროს როცა სამხკორს დაწვრილებით უნდა გაეშუქებია ის თუ ვინ შემოიტანა განცხადება, რა შეეკითხეს განცხადების შემომტანს, როგორ შეხვდა უჯრედი ამას, ის მთელი არშინიან კორესპონდენციაზე მოგვითხრობს იმას თუ რა ილაპარაკა მათი უჯრედის ორატორმა „საერთაშორისო მოხსენების“ შესახებ.

ამ ნაკლს ჩვენმა სამხკორებმა ყურადღება უნდა მიაქციონ და პარტიულ მუშაობის შესახებ მოგვაწოდონ შინაარსიანი წერილები.

ფართედ გააშუქეთ პარტიული მუშაობა ბანაკში!

# ახალი რადიო-ამბები

## კამათი საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში მაროკოს საკითხის გარშემო.

**იმპერიალისტები სცდილობენ „ჭკუა ასწავლონ“ რიფებს.**

საფრანგეთის ბურჟუაზიული პრესა აღშფოთებულია დორიოს გამოსვლით მაროკოს ომის შესახებ.

ზოგიერთი გაზეთები აცხადებენ, რომ „დორიო თავხედური მოწოდებისათვის დეზერტირობისაკენ, პასუხისგებაში უნდა იქნას მიცემული“-ო.

მემარჯვენე პრესაც კი დაცინვით აღნიშნავს რენოდელის მდგომარეობას, რომელიც თავის ცარიელი სიტყვით სცდილობდა ჯამბაზურად გამოსულიყო ვითომც მთავრობის წინააღმდეგ, რომლის ერთგული დამცველიც არის ის არსებითად.

მთელ ბურჟუაზიულ პრესას გამოაქვს ასეთი დასკნა, რომ საჩქარო ზავი, სერიოზულ გარანტიის გარეშე, გამოიწვევდა საფრანგეთის ავტორიტეტის დაცემას სამუსულმანო ქვეყანაში, „რომელიც ანგარიშს უწევს მხოლოდ ძალის პოლიტიკასო“-ო.

## სოციალისტურ ფრაქციის თათბირი.

საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში მაროკოს საკითხის გარშემო გამართულ კამათის შემდეგ, გაიმართა სოციალისტური ფრაქციის თათბირი, რომელზედაც გადაწყდა თავი შეიკავონ მთავრობისადმი ნდობის გამოცხადების დროს.

ამ გადაწყვეტილებამ დიდი კამათი გამოიწვია სოციალისტებსა და რადიკალ სოციალისტებს შორის. ბოლოს გადაწყდა გადასდონ საკითხის განხილვა 30 მაისისთვის.

## საპროტესტო მიტინგი მაროკოს ომის წინააღმდეგ.

კომუნისტ ქალებმა პარიზში მოაწყვეს საპროტესტო მიტინგი მაროკოს ომის წინააღმდეგ.

მიტინგზე გამოვიდენ კოსტი, ანდრე მარტი, დორიო და სიუზანა ჟირო. ორატორები სასტიკად ილაშქრებდენ მაროკოში ომის გაგრძელების წინააღმდეგ და მოუწოდებდენ ქალებს რათა წინ აღუდგენ საფრანგეთის კაპიტალისტების შავბნელ ზრახვებს.

მიტინგმა დაადგინა მოსთხოვოს პალატის თავმჯდომარესა და პრემიერს საფრანგეთის ჯარების გამოყვანა მაროკოდან.

## კაშენსა და ვაიან-კუტიურიეზე არ ავრცელებენ ამნისტიას.

საფრანგეთის საკასაციო სასამართლომ განაცხადა, რომ ამნისტია არ გავრცელდება კომუნისტებზე კაშენსა და ვაიან-კუტიურიეზე, რომლებიც გასამართლებულ იქნენ გამასწორებელ ტრიბუნალის მიერ ომის საწინააღმდეგო წერილებისათვის.



ამხ. კაშენი. ამხ. კუტიურიე.

## ინგლისი და ესტონეთი.

ინგლისის თემთა პალატაში ლენსბერი შეეკითხა ჩემბერლენს,—დაიწყო თუ არა ან ხომ არ აპირობს ინგლისის

## ბოლო მოუღოთ ჩვენი ცხოვრების უკუღმართ მოვლენებს.

კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მთელი ყურადღება და ძალღონე მიმართულია მუშების და გლეხების კავშირის განმტკიცებისაკენ. უკანასკნელი საბჭოთა ყრილობებმა და აგრეთვე მე-14 პარტიული კონფერენციამ დაწვრილებით გაარჩიეს ეს საკითხი და გამოიტანეს მთელი რიგი დადგენილებები.

ყველა ამ დადგენილებათა და გადაწყვეტილებათა გატარება სავსებით განამტკიცებს ქალაქის და სოფლის მჭიდრო კავშირს. მაგრამ ხშირად ეს დადგენილებები არ ტარდებიან ცხოვრებაში, ადგილობრივი ხელისუფლება გვერდს აუხვევს მათ და თავის ბიუროკრატიული, და ხანდისხან პირდაპირ უმგვანო საქციელით ხელს უშლის მუშების და გლეხების დაახლოების საქმეს.

რაზედ ლაპარაკობენ უკანასკნელი საბჭოთა და პარტიული ყრილობები? გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, საგადასახადო პოლიტიკის მოგვარებაზე, თვით ვადასახადების შემცირებაზე, სოფლის მეურნეობისათვის ხელის შეწყობაზე.

ტარდება ეს ცხოვრებაში? ამ დღეებში დაგზავნილი ცირკულიარული წერილი ამიერ-კავკასიის, პარტიის საოლქო კომიტეტისა პარტიულ ორგანიზაციებისადმი გვეუბნება, რომ ბევრ შემთხვევაში ცენტრალური მთავრობის დადგენილებანი ამ მხრივ ადგილებზე არ ხორციელდება. განსაკუთრებით აღმაშფოთებულ მოვლენებს აქვს ადგილი საგადასახადო პოლიტიკაში.

როგორც მუშურ-გლეხური ინსპექციი გამოკვლევებიდან სჩანს, ადგილობრივ ხელისუფლება, ერთი ორად ადიდებს გადასახადს და მით ხელს უშლის გლეხს ბაზარზე გაიტანოს თავისი ნაწარმოები.

იმის მაგივრად, რომ ადგილობრივ ხელისუფლებამ ყოველმხრივ დაეხმაროს გლეხობას, ხელი შეუწყოს მის მეურნეობის წინსვლას და განვითარებას, ის პირიქით თავისი თვითნებური მოქმედებით წინ ეღობება მუშების და გლეხების კავშირის გამაგრებას და მხოლოდ ასუსტებს მას.

ცხადია ასეთ მდგომარეობას არას დროს არ მოითმენს არც პარტია და არც მუშურ-გლეხური ხელისუფლება.

პარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ცირკულიარი მოუწოდებს ადგილობრივ პარტორგანიზაციებს ამ არანორმალური მოვლენების აღმოსაფხვრელად მიიღონ სასტიკი ზომები.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა ძალაუფლება სასტიკად შეებრძოლება ყველა იმათ, ვინც თავისი მოქმედებით ხელს უშლის მუშების და გლეხების კავშირის გაღრმავებას და განმტკიცებას.

კომუნისტური პარტია ძირბუდიანათ აღმოფხვრის ყოველგვარ უკანონობას გლეხების და სოფლის მიმართ. ჩვენ წითელ არმიელებმა კარგად უნდა შეითვისონ ხსენებული ცირკულიარული წერილი და ხელისუფლებასთან და პარტიასთან ერთად ხელი უნდა შეუწყონ ყველა იმ უარყოფით მოვლენების მოსპობას, რომელსაც ადგილი აქვს საბჭოთა სოფელში.

გაერთიანებული ძალით მოვსპოთ ჩვენი ცხოვრების ნაკლულევანებანი.

—მ.

მთავრობა ესტონეთის მთავრობასთან მოლაპარაკებას, ან მიიღო თუ არა მან ესტონეთის მთავრობისაგან რაიმე წინადადება ინგლისზე კუნძულ დაგესა და ეზელის იჯარით მიცემაზე.

შემდეგ ლენსბერი შეეკითხა, ფიქრობს თუ არა ინგლისის მთავრობა დაარსოს საავიაციო ან საზღვაო ბაზა ბალტიის ზღვაზე.

ჩემბერლენმა ამ შეკითხვებზე უარყოფითად უპასუხა.

## ინგლისის პროფკავშირთა მთავარი საბჭო მხარს უჭერს ჩვენი პროფკავშირების წერილს.

ინგლისის პროფკავშირთა მთავარმა საბჭომ გაარჩია საბჭოთა პროფკავშირების წერილი ამსტერდამის ინტერნაციონალისადმი. სუელსმა განაცხადა, რომ მთავარ საბჭოს აზრით წერილი სავსებით კარგ პოზიციაზე სდგას და მოწმობს საბჭოთა პროფკავშირების შეხედულების ერთგვარ ცვლილებას საერთაშორისო პროფმოძრაობის საკითხში.

## საფრანგეთი მოითხოვს გერმანიის იარაღის ქარხნების გაუქმებას.

საფრანგეთის მიერ გერმანიაზე წარდგენილ მოთხოვნილებათა შორის, როგორც საფრანგეთის წყაროები იტყობინებიან, შეტანილ იქნება 40 იარაღის ქარხნის (მათ რიცხვში კრუპის) არა სამხედრო სამუშაოზე გადატანის შესახებ.

რეიტერის სააგენტოს ცნობით რური დაცლილ იქნება 16 აგვისტოს.

## პროტესტი ლეიპციგის სასამართლოს განაჩენის წინააღმდეგ.

ინგლისის პარლამენტის დეპუტატებმა და მუშათა პარტიის წევრებმა მიუკანანმა, ლენსბერიმ, სტეფენმა, კირკვუდმა და კომუნისტ საკლათვალამ გაუგზავნეს ჰინდენბურგს დეპეშა, რომელშიაც პროტესტს აცხადებენ ლეიპციგის სასამართლოს განაჩენის წინააღმდეგ „გერმანიის ჩეკას“ საქმეზე და მოითხოვენ გასამართლებულთა ამნისტიას.

## ბულგარეთის ამბების გამორკვევის გეგმა.

ბულგარეთში შექმნილ მდგომარეობის გამო, ინგლისის პროფკავშირთა მთავარ საბჭომ დაადგინა მიმართოს ბულგარეთის საელჩოს ლონდონში, რათა მისცენ საბჭოს საშუალება გამოარკვიოს დამოუკიდებლად ბულგარეთში შექმნილი მდგომარეობა.

## პოლონეთის მთავრობის პოლიტიკამ გაჭირვებაში ჩააგდო სახელმწიფო და მოსახლეობა.

### იზრდება ოპოზიცია გრაბსკის მთავრობის წინააღმდეგ.

პოლონეთის სეიმის შრომის კლუბმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც აღნიშნავს სახელმწიფოსა და მოსახლეობის მდგომარეობის გაუარესებას. მდგომარეობის გაუარესების მიზეზად რეზოლიუცია სთვლის მთავრობის პოლიტიკას, რომელიც ანგარიშს არ უწევს მოსახლეობისა და ქვეყნის ძირითად ინტერესებს. აქედან ცხადია, რომ შრომის კლუბი გადასულა გრაბსკის მთავრობის ოპოზიციაში, რომელსაც უეჭველია შეუერთდებიან სხვა ჯგუფებიც.

კლუბის მოთხოვნილებით ტუგუტი გადადგა. გადადგომის მიზეზად მან დაასახელა ის, რომ შეუძლებელია დღევანდელ პირობებში ეროვნული საკითხის მოგვარებაო.

პრესა აღნიშნავს, რომ მოახლოებულია გრაბსკის მთავრობის კრიზისიო.

## ახალი დაპატიმრებანი პოლონეთში.

გრუბესკოვის მაზრაში ზაბორეეს, კალონიაში დაპატიმრებულ იქნა 50 კაცი. პოლიციის ცნობით ისინი ვითომც მოსულან დასავლეთ უკრაინის კომპარტიის ყრილობაზე.

## ამუნდსენი კიდევ არ სჩანს.

ამუნდსენის ექსპედიციის შესახებ, რომელიც გაფრინდა ამას წინად ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ, დღემდის არაფერი იციან. აპირებენ ექსპედიციის გაგზავნას ამუნდსენზე დასახმარებლად.

## საბჭოთა საქართველოში.

### საქონლის ჭირი.

სვირის რაიონში შემჩნეულია რამოდენიმე შემთხვევა რქოსანი საქონლის ხუზარითა და შავი ჭირით დაავადებისა. მოკვდა ექვსი სული საქონელი. მიღებულია ზომები საქონლის ავადმყოფობის წინააღმდეგ.

### ბამბის მწმენდი ქარხანა.

ქუთაისში იხსნება ბამბის მწმენდი ქარხანა, რისთვისაც გამოყენებულ იქნებიან ჩამორთმეული ბამბის მწმენდი ქარხნები, რომლებიც წინად ბეგოვსა და გოკიელოვს ეკუთვნოდენ.

### საძოვარი ადგილები და უთანხმოება.

ქუთაისის, სენაკისა და ლეჩხუმის გლეხებს შორის რამოდენიმე წელიწადია უთანხმოებაა საძოვარი რაიონის გარშემო.

ქუთაისის სამაზრო აღმასკომმა მიიღო ზომები ამ საკითხის მოსაგვარებლად, რასაც შედეგად უნდა მოჰყვეს საძოვრის თანაბრად სარგებლობა აღნიშნულ მაზრების გლეხების მიერ.

### ამინდი ახალსენაკის მაზრაში.

ახალსენაკის რაიონში წვიმების შემდეგ კარგი ამინდები დაიჭირა. თავდება სიმინდის თესვა, ამოსულ სიმინდებს კარგი პირი უჩანს.

## სამხედრო ქიმია.

### სამხედრო-ქიმიური ნედლი მასალა საქართველოში.

გოგირდის სიმჟავე, რომელსაც ღებულობენ თუთიას მადნის წვის დროს, იხმარება თითქმის ყველა ქიმიურ წარმოებაში დიდძალი რაოდენობით. უმისოდ არ შეიძლება წამლების, საღებავებისა და სხვა პროდუქტების უმეტესობის მომზადება. ის საჭიროა მხუთარი გაზის, პიროქსილინის, უკვამლო დენთის, ნალმების, მელინიტის, ტროტლისა და თითქმის ყველა ამაფეთქებელ ნივთიერებათა მოსამზადებლად. აქედან ცხადია მისი და თუთიას მადნის სამხედრო ქიმიური მნიშვნელობა.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ლითონ-თუთიას გარდა ძვირფასია აგრეთვე ამ მადნიდან მიღებული თუთიას ერთგვარი ნალარი, რომლისგანაც შეიძლება მომზადებულ იქნას მშვიდობიან და სამხედრო მნიშვნელობის ბევრი მეტად ძვირფასი ქიმიური ნივთიერებანი.

### რკინის კოლჩედანი.

გოგირდის სიმჟავის დამზადება შეიძლება არამარტო თუთიის მადნიდან, არამედ, რაც უფრო ხელსაყრელია, რკინის მადნიდან, რომელსაც ეწოდება „რკინის კოლჩედანი“. (რკინის კოლჩედანის მიწიდან ამოღება შეიძლება ბორჩალოს მაზრაში სოფელ ჩიბუხლუში.) ამ რკინის მადანს ხმარობენ ხშირად გოგირდის სიმჟავის დასამზადებლად.

### გლაუბერის მარილი.

გოგირდის სიმჟავეს გარდა ქიმიურ მრეწველობაში დიდ როლს თამაშობს ერთგვარი ნივთიერება სოდა. სოდა აუცილებელი საჭიროა და იხმარება მშვიდობიან და სამხედრო ქიმიურ მრეწველობაში. სოდის მომზადება შეიძლება ეგრედ-წოდებულ „გლაუბერის მარილისგან“, რომელიც დიდძალი რაოდენობით მოიპოება მიწაში (მუხროვანის მახლობლად.) წმინდა სახით გლაუბერის მარილი იხმარება როგორც კარგი კუჭის გასაწმენდი წამალი; გარდა ამისა გლაუბერის მარილი იხმარება შუშისა და სხვა სამრეწველოებში.

გლაუბერის მარილის ქიმიურად დამუშავებით ღებულობენ „მქისე ნატრს“, რომელიც აუცილებელი საჭიროა საპნის და ამაფეთქებელ მომწამვლელ ნივთიერებათა დასამზადებლად; ამას გარდა გლაუბერის მარილიდან ღებულობენ „გოგირდის ნატრს“, რომელიც საჭიროა ტყავეულობისა და სამღებრო სამრეწველოებში.

### კიზელგური.

ზოგიერთი საღებავების, ამაფეთქებელ ნივთიერებათა და ზოგიერთ საომარ გაზში (მაგალითად ფოსგენში) ნარევის მოსამზადებლად იხმარება ერთგვარი ნივთიერება—კიზელგური. ეს ძვირფასი და საჭირო ნივთიერება ქიმიურ მრეწველობაში დიდ ძალი რაოდენობით მოიპოვება ახალციხის მაზრაში. ეს კიზელგური მეტად მაღალი ხარისხისაა.

ლ. ვორონოვი.

## უცხოეთის არმიებში.

### ოსმალეთის არმიის ახალი ორგანიზაცია.

ოსმალეთში შემოღებულია ახალი წესდება, რომლის თანახმად შემოღებულია იძულებითი სამხედრო ბეგარის მოხდა 18—20 წლამდე.

ოსმალეთის არმია შემდგარი იქნება 3 არმიისაგან, თითეული სამ—სამი კორპუსით.

თითეული კორპუსის შემადგენლობაში შედის 3 სამი ლეგიონიანი დივიზიები.

ამას გარდა თითეულ ფეხოსან დივიზიაში შედის აგრეთვე თითო სამ დივიზიონიანი საველე საარტილერიო ლეგიონი, ნაღმისმტყორცნელი, მესანგრეთა, მზვერავთა და სანიტარული ბათალიონები.

მძიმე არტილერია შედის კორპუსში. ომიანობის დროს თითეულ კორპუსს ყავს სათადარიგო დივიზია. არმიის მომზადების საქმეს განაგებს გენერალური შტაბის უფროსი, ხოლო მისი მართველობას—სამხედრო მინისტრი.

### ესპანეთის არმიის რეორგანიზაცია.

ესპანეთის არმიის რიცხვი შემცირებული იქნა 70.000 ათას კაცამდე, აქედან 2.000 ოფიცერია.

არმიის შემადგენლობა: ქვეითა-40.000; კ. ცხენოსანი—სამი ათას 500; არტილერია—10 ათას 400; საინჟინერო ჯარები—7.300; მომარაგებისათვის—3.300; სანიტარული ჯარები—2.200; ავიაცია—415.

ქვეითა ჯარი შესდგება 26 ბათალიონისაგან.

### პოლონეთის არმიის ზნე ჩვეულებანი.

#### თვითმკვლელობა არმიაში.

პოლონეთის სეიმში (პარლამენტია) სამხედრო ბიუჯეტის გარშემო გამართულ კამათში დეპუტატ მედზინსკი მოიყვანა მეტად საინტერესო ცნობები არმიაში გავრცელებულ თვითმკვლელობის შესახებ.

1924 წლის განმავლობაში არმიაში ადგილი ჰქონია თვითმკვლელობის 300 შემთხვევას; მათ შორის 40 ოფიცერი ყოფილა.

თვითმკვლელობის გამომწვევი მიზეზები დეპუტატის აზრით არის: მატერიალური სივიწროვე, ბოროტმოქმედება, რომელიც ყოველთვის თავდება თვითმკვლელობით და შემდეგ „მორალური დევნა.“

პირველ ორ მიზეზს შეიძლება ადგილი ექნეს მხოლოდ ოფიცრებსა და სამხედრო მოსამსახურე-ჩინოვნიკებს შორის, ჯარის კაცებში კი მხოლოდ და მხოლოდ მესამე მიზეზი იწვევს თვითმკვლელობამდე მისვლას. როგორ უნდა გვესმოდეს „მორალური დევნა“ სამწუხაროთ პოლკოვნიკმა არ ნათელყო, მაგრამ ჩვენ ვიცით რომ ეს ის რეჟიმი და დევნაა პოლონეთის არმიაში კომუნისტად შენიშნულის „სხვა ეროვნებათა“ წარმომადგენლებისადმი, რომელსაც თავის მოკვლამდე მიყავს პოლონეთის არმიის ჯარის კაცები.

თავის საპასუხო სიტყვაში, სამხედრო მინისტრმა ამ ცნობების წინააღმდეგ ვერა სთქვა რა.

## ამხ. ამხ. ფრიდმანის, ზაგორსკის და კოევის ხსოვნას.

27 მაისი.

სოფის შავი რეაქციის ზეიმის დღეა; რევოლიუციონური ალტკინებული ბრძოლის სურვილი სიხარულით იტანს სასჯელის განაჩენს.

დღეს აჯანყებულ პროლეტარიატის მტკიცე მესვეურნი, ღირსეულად მივლენ შავ მოედანზე აღმართულ სახრჩობელასთან და სიამაყით ჩაიკრავენ გულში რევოლიუციონური თავგანწირულ ბრძოლის შედეგს, სიკვდილის: დიახ, ბულგარეთის შავი რეაქცია დღეს სახალხოდ შეასრულებს ბარბაროსულ აქტს, სისხლიანი ხელებით კვლავ უკანასკნელად სიცოცხლეს მოსპობს სამ რევოლიუციონერს.

ეს ბარბაროსული აქტი მიმართულია არა ფრიდმანის, ზაგორსკის და კოევის წინააღმდეგ, არამედ მსოფლიო პროლეტარიატის და მისი ხელმძღვანელი პარტიის, კომპარტიის წინააღმდეგ. მაგრამ ეს ნიშანია შავი რეაქციის უკანასკნელი სულის ღაფვის, ეს მათი უკანასკნელი შხამია მისი არსებობის უკანასკნელი წუთებით გამოწვეული.

დაჰკრა, მეთორმეტე საათმა, წაბილწულმა სინდისმა დაამთავრა საშინელი აქტის წაკითხვა და შეუდგა განაჩენის სისრულეში მოყვანას.

აღმართულ სახრჩობელას წინაშე გმირულად წარმოსდგა სამი კომუნარი, გმირულ გამომტყველებით, უშიშრად და და რევოლიუციონური სიამაყით მიდიან სიკვდილის შესახვედრად.

ეს მათი რევოლიუციონური ბრძოლის შედეგია,

ეს რევოლიუციის წმინდა ვალია და ვაჟკაცურად იხდიან მას.

მოედანი დრტვინავს, ხალხი ღელავს და ამ მღელვარებას შავი ხელები აცხრობენ მათრახების ძლიერებით...

აღსრულდა ნება მტარვალთა და უკანასკნელი სუნთქვა გმირთა გაიტაცა სისხლიანმა თოკების რგოლებმა. ჯალათთა ხრომ სიამოვნებით ამოისუნთქა, სისხლი აიღო...

თითქოს ნახევრად დაასამარა რევოლიუცია?

მაგრამ მან ამით საზღვარი დაუდო თავის არსებობას.

აზვირთებული პროლეტარიატი ამავე თოკებზედ ჩამოკიდებს ბულგარეთის ჯალათებს და მით აღადგენს ამხ. ფრიდმანის, ზაგორსკის და კოევის ღირსეულ სახელს და მის ხსოვნას ცეცხლის დროშებით მოქარგავს.

ზიზღი და წყევლა-კრულვა თქვენ მშრომელთა ჯალათნო!

დიდება და პატივი რევოლიუციის მსხვერპლთ ამხ. ფრიდმანს, ზაგორსკის და კოევს.

ბოგიტო ციმბირელი.

# ᲡᲐᲑᲐᲜᲐᲙᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲩᲐᲦᲓᲐ

## საბანაკო მუშაობაში—მთავარი სამხედრო სწავლებაა წითელ-არმიელო! მხნედ შეუდეგი სამხედრო საქმის შესწავლას და პოლიტიკურ ცოდნის შეძენას.

## განამტკიცეთ სოფლისა და წითელ არმიის კავშირი.

# ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲢᲔᲠ-ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

**სამხედრო—სამნეო მომარაგება.**

მეტად დიდი მოვალეობა ეს მომავალ ტერშეკრების ის ყველა ჩვენს სამნეო მუშებს, რადგანაც ეს შეკრება თხოვს მისგან გარკვეულ შრომას და მხნეობას. უწ... ეს ყოვლისა სამნეო მუ... კი უნდა სცდილობდეს სამ... რო ქონების მოვლა-პატრონობაზე, რადგანაც ეს ქონება დი შრომით და ენერგიითაა გროვილი და წარმოადგენს იდეს საფასურს ჩვენს ჯერ დევ ეკონომიურად გაუმაგრებელ საბჭოთა მიწა-წყალზე. ტერნაწილებში ყველა ქო... ბა უნდა ინახებოდეს, არსებული წესის მიხედვით, ომიანის შტატისდა გვარად დაწესებულ ნორმებით, მაგრამ ... ამად უქონლობის გამო, ... შვებულია ცოტაოდენი გადახრა ამ წესიდან. ნივთები იძ... ევა მართალია ცოტაოდენ მოკლებული ნორმებით, მაგრამ იმ ანგარიშით კი, რომ ... ცემული ნივთები ხელს არ უშლიან და უზრუნველჰყოფენ სამოსწავლო შეკრების ჩატარებას.

უკვე მოხდენილია განკარგულება და იგზავნება ყოველ წერტებზე, სადაც კი ტერშეკრება იქნება, ტანისამოსი (შარვალი, ხალათი, საცვლები და სხვა). ამ თავითვე სამნეო მუშაკმა უნდა მიიღოს ყოველგვარი ზომები, რომ ეს ნივთები ტერშეკრებაზე გამოცხადებულ მოქალაქეს მზად დახვდეს, შემდეგში ჩააბაროს ყველას თავ-თავისი ტანისამოსი, თვალყური ადევნოს შეკრების დროს ტანისამოსის და საზოგადოდ არმიელის სისუფთავეს და სიფაქიზეს; ტერშეკრების გათავების შემდეგ—შეაგროვოს ყველა ტანისამოსი, გაასუფთაოს, გაამზეოს და შეინახოს ტერნაწილების საწყობებში.

ჩაცმა-დახურვის გარდა არა ნაკლებ საზრუნავ საგანს წარმოადგენს სამნეო მუშაკისათვის ჭამა-სმის საკითხის მოგვარება—მოწესრიგება, რისთვისაც იგი წინასწარ უნდა მოემზადოს სამოსწავლო შეკრებისათვის, შეადგინოს მიზანშეწონილი გეგმა პურის ცხობისა, საჭმლის ხარშვისა, საკუჭნაოების და საწყობების მოწყობის შესახებ და სხვა.

**ნ. შანშიაშვილი.**

# ᲔᲥᲡᲙᲣᲠᲡᲘᲐᲖᲔ ᲢᲧᲐᲕ-ᲢᲠᲔᲡᲢᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐᲨᲘ.

**მეორე საარტილერიო ლეგიონი.**

28 მაისს ჩვენი ლეგიონის ... პირველი საგაუბიცო ბატარეის წითელ არმიელები კლუბის გამგის ხელმძღვანელობით გავემართეთ ტყავტრესტის ქარხნის დასათვალიერებლად.

ქარხნის მუშები დიდი სტუმართმოყვარეობით შამოგვეგებენ წინ. თვითონ მუშები დაგვყვებოდენ ქარხანაში, მიგვითითებდენ ყველა საყურადღებო მანქანებზე, გვიხსნიდენ გველაპარაკებოდენ თითეულის მნიშვნელობაზე.

პირველად დავათვალიერეთ ის განყოფილება, სადაც იკერება ფეხსაცმელები, შემდეგ ის ადგილი სადაც ამზადებენ ტყავებს. აქ დაწვრილებით გავეცანით ტყავების დამზადებისათვის წარმოებული მუშაობის წესებს.

ქარხანამ და საერთოდ მუშების მეკობრულმა შეხვედრამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ყველა არმიელებზე.

საჭიროა ჩვენი უფროსები ხშირად მოაწყობდენ ჩვენთვის ასეთი ხასიათის ექსკურსიებს, რომლებსაც სხვა მეცადინეობაზე ნაკლები სარგებლობის მოტანა არ შეუძლია ჩვენთვის.

**სამხკორი კირილე.**

# Ბ Ა Ნ Ა Კ Ა Დ.

**ქართულ სამხედრო პოლიტიკურ სკოლის ცხოვრებიდან.**

მზე გადიხარა. აგრილდა. კურსანტები გამოიშალენ სადგომი ბინებიდან და მოედვნენ ტყემინდორს. ყველას ულიმის სახე, ყველა ხარბათ სუნთქავს სუფთა ჰაერს.

— რა კარგია სუფთა ჰაერი, ტყე, მინდორი. ეხლა მგონი თბილისში დარჩენილები სიცხით იწვიან და ენატრებათ გრილი სიო—იძახიან ისინი.

— აქ მეცადინობაც უფრო ნაყოფიერი იქნება მეტსაც წაიკითხავ, ვიდრე ჰაერ ჩახუთულ საკლასო ოთახში. წამოწექ ამ ფიჭვის ქვეშ და ისწავლე გაკვეთილი-გამოსთქვამს თავის აზრს ერთი კურსანტი.

აგერ კურსანტების ერთ ჯგუფს ას წლოვან ხის ქვეშ გაუმართავთ ბაასი მომავალ, საზაფხულო მეცადინობის შესახებ.—მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოთ სოფლათ მუშაობას იქ ბევრი ჩამორჩენილი მიყრუებული სოფლებია; უნდა შევიჭრათ შიგ და შევიტანოთ ახალი ცხოვრების გაგება.

აქ მეორე ჯგუფს გაუმართავთ ლხინი. ერთი კურსანტი სალამურზე აკვნესებს სხვა და სხვა ჰანგებს, ეჯიბრება რუს კურსანტს, რომელიც უკრავს ბალალაიკაზე.

— აბა, ბიჭო ეცადე, ეცადე. უფრო სამხიარულო-აქებენ ამხანაგები და ისიც სცდილობს არ შეირცხვინოს თავი და გამარჯვებული გამოვიდეს შეჯიბრებიდან.

აქ ქართველი კურსანტები სწვევიან სტუმრათ მეზობელ რუსულ სკოლის კურსანტებს. ეცნობიან, ბაასობენ სკოლის ირგვლივ, მეცადინობაზე, ლექციებზე, თუ რა საგნები გავულიათ, როგორ ფიქრობენ ზაფხულის გატარებას.

— დახე, ზოგიერთ საგნებში ჩვენ გვჯობნიან, ზოგში ჩვენ ვჯობნით.—ამბობს ერთი.

— აბა, ამ ზამთარში კარგ პირობებში ვყოფილიყავით კიდევ კარგი, რომ ცოტაოდენი შევიძინეთ იმ დანგრეულ შენობაში. ცხარობს მეორე.

— ამბობენ, წრეულს კარგ შენობაში მოგვიხდება ყოფნაო უკეთებს ამხანაგებს გულს პირველი. ამ განცხადებამ ყველა კარგ ხასიათზე დააყენა და დაიწყეს ისევ მხიარულება. წელს ჩვენი საზაფხულო მუშაობა დიდ შედეგებს გვპირდება. ამას მჭერმეტყველებს ჩვენი თავიდანვე დაწყებული ინტენსიური საქმიანობა.

**ე. ხუციშვილი.**

# ᲩᲕᲔᲜᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲑᲐᲜᲐᲙᲐᲓ.

15 მაისს არტლეგიონმა დასტოვა დროებით საზამთრო შენობები და გავიდა ბანაკად.

აქ წინასწარ მოწყობილ კარვებში ჩქარა მოეწყო ლეგიონი და შეუდგა მეცადინეობას, განსაკუთრებით სამხედრო დარგში. 21 მაისიდან უკვე დაიწყო პრაქტიკული მეცადინეობა: საველე გასვლა და სხვა.

უკანასკნელ დღეებში სისტემატიურად მიმდინარეობს პოლიტ-საათებიც. პირველ ხანებში პოლიტსაათების გატარებას ხელს უშლიდა საერთო ლეგიონის დაბანაკება.

ეხლა უკვე მოწყობილია ლენინის კარვებიც, სადაც ყოველ თავისუფალ დროს წითელ არმიელები ატარებენ გაზეთის კითხვაში და სხვა და სხვა ხასიათის ბაასში.

ბანაკად გასვლის შემდეგ ნაწილს გაზეთები არ მოდის თავის დროზე, რომელსაც დროზე უნდა მიექცეს ყურადღება.

საკლუბო მუშაობიდან ჯერ-ჯერობით მუშაობს მარტო დრამწრე, რომელიც ამზადებს პიესას დასადგმელად. პიესა დაიდგმება ჯერ ლეგიონში და შემდეგ სოფ. მარტყოფში, რომელზედაც კულტშეფობა აღებული აქვს ჩვენს ლეგიონს.

**სამხკორი ლ—ო.**

# ᲫᲕᲔᲚ ᲬᲘᲗᲔᲚ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲔᲑᲡ ᲕᲔᲬᲕᲘᲔᲗ

**პირველი ლეგიონი.**

შუადღისას დასიცხული წითელ არმიელები ზანტად მეცადინეობენ. ახალწვეულები, შეუჩვევლები თფილისის სიცხეებს, უსიამოვნოთ გრძნობდენ თავს. მაგრამ გადაიხარა მზე და ჩვენმა ყაზარმამაც მოგვცა ჩრდილი. კიდევ აგრილდა. ასეულმა იწყო ოცეულებით მეცადინეობა და უკანასკნელ საათში მეთაურებმა სცადეს მთელი ასეულის ერთათ მოძრაობა. მეთაურებს იმედი გაუმართლდათ.

ახალწვეულები მშვენივრად იღებდენ ფეხს და სიარულში უკვე აღარ ჩამორჩებოდენ ძველებს. საღამოს ახალწვეულები გაემართენ მუსიკით ბანაკათ გასულს ძველ წითელ არმიელებთან. ამ საღამოს კლუბი აჩვენებდა კინო-სურათს. ჯერ კიდევ სინათლე იყო. ამისათვის ცის ქვეშ კინო-სურათის მსვლელობა შეუძლებელი იყო. ლეგთავი და სამხკომი მიესალმა ახალწვეულებს და ძველ წითელ არმიელებთან გაგზავნა კარვების დასათვალიერებლად. წითელ არმიელები ყურადღებით სინჯავდენ კარვებს და სახეზედ ეტყობოდათ, რომ სიამოვნებით დასთანხმდებოდენ ასეთ ცხოვრებას. უცებ კარვების წინ გაისმა სათამაშო მარში. წრეში დასცურავდა ლეგთავი, რომელმაც გამოითამაშა წითელ არმიელი. ძველი წითელ არმიელი შესცვალა ახალწვეულმა და საერთო ლეგიონის მხიარულების ფერხულში მათაც მიიღეს მონაწილეობა.

ახალწვეულები არ მოელოდენ ლეგთავის მათთან თამაშს და მეორე დღით ერთმანეთში აღტაცებული საუბრობდენ, ადარებდენ ძველ სამსახურს ეხლანდელ სამსახურთან და ძველ ოფიცრებს ეხლანდელ მეთაურებთან.

კინო-სურათით და ბანაკის დათვალიერებით ნასიამოვნები ახალწვეულები სიმღერით გაემართენ ყაზარმისაკენ.

**სამხკორი შ. თეთრია.**

### ᲡᲐᲑᲐᲜᲐᲙᲝ ᲡᲐᲛᲖᲐᲓᲘᲡᲘ.

**ცალკე საკავშირო ასეული.**

ჩვენი ასეული საბანაკო პერიოდს ფრიად მომზადებული შეხვდა: ჯერ კიდევ ერთი თვით ადრე სანამ ბანაკად გავიდოდით, შეკეთებული და ხელმეორედ შეღებილი იქნა ასეულის კუთვნილი ყველა ორთვალები და საბარგულები, შეძენილი იქნა ნაწილისათვის სასპორტო იარაღები და სხვა. ბანაკში საკლუბო და საბიბლიოთეკო მუშაობისათვის დავამზადეთ ყველა საჭირო ნივთები. განსაკუთრებით გამოყოფილ იქნა ბიბლიოთეკიდან წიგნები ზაფხულის პერიოდისათვის; ყველა წრეების ხელმძღვანელებს დაევალა შეედგინათ მომავალი სამოქმედო გეგმა. დიდი ყურადღება მიექცა კომისიას, რომელსაც დავალებული აქვს ბანაკათ ყოფნის დროს სოფელთან კულტურული კავშირის დაჭერა.

ბანაკათ გასვლამდე 15 დღით ადრე გაგზავნილ იქნა 23 წითელ არმიელი, რომელთაც დაევალათ კარვების მოწყობა. 16 მაისს უკვე ყველაფერი რიგზე იყო და ჩვენც 15 ახალწვეულებთან ერთად გავემგზავრეთ ბანაკში. აღსანიშნავია ის საქმისადმი ენერგიული მიდგომა, რომელსაც იჩენენ ჩვენი მეთაურები და აგრეთვე წითელ არმიელებიც.

**სამხკორი კუნსილვა.**

# ᲑᲐᲜᲐᲙᲨᲘᲓᲐᲪ ᲒᲐᲕᲐᲩᲐᲦᲔᲗ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ.

**პირველი საკავშირო ასეული.**

მიუხედავად იმისა, რომ ნაწილის წითელ არმიელებს დიდი შრომის გაწევა დასჭირდათ ბანაკის შესაფერი მოწყობისათვის და ამჟამადაც სწარმოებს ასეთი მუშაობა, კულტურული საქმიანობა მაინც არ შეწყვეტილა.

დრამატიული წრე უკვე შეუდგა საჭირო პიესების მზადებას. ამ ახლო ხანში განზრახულია უფასო წარმოდგენის დადგმა. დიდი მზადებაა აგრეთვე კედლის გაზეთის გამოსაშვებათ.

გვინდა ბანაკში პირველად გამოსული ნომერი სამაგალითო იქნეს.

წითელ არმიელებს დიდი სურვილი აქვთ ნაწილში უკვე არსებულ წრეებში მეცადინეობის, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა სამეცადინო საათების განსაზღვრა, გარდა დრამატიული წრის, სადაც, როგორც ავღნიშნეთ მუშაობა უკვე სწარმოებს.

იმედია ამ მოკლე ხანში, ყველაფერი მოგვარდება და წრეებიც შეუდგებიან თავის საქმიანობას.

**სამხკორი ვ. ვანელი.**

# 1-ᲚᲘ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘ ᲑᲐᲜᲐᲙᲐᲗ.

ლეგიონი ბანაკათ გასვლისთანავე შეუდგა მუშაობის გაცხოველებას. უკვე სისტემატიურად ტარდება პოლიტ-საათები და სამწყობრო მეცადინეობა.

წითელ არმიელები ძლიერ დაინტერესებული არიან, რაც შეიძლება მეტი ცოდნა მიიღონ ბანაკათ ყოფნის დროს. მათ ვერ დაინახავთ ცუდათ გაჩერებულთ. ყველა კითხულობს წიგნებს, ჟურნალ—გაზეთებს და სხ. იმართება კამათი წაკითხულზე, რაშიდაც ყველა წითელ არმიელი ღებულობს მონაწილეობას. კამათში წამოჭრილ გაუგებარ საკითხების შესახებ ეკითხებიან თავიანთ პოლიტხელებს, რომლებიც დაუზარებლათ ეხმარებიან საკითხის გამორკვევაში.

სამწყობრო ვარჯიშობაც მიმდინარეობს სისტემატიურად. ამ ბოლო ხანში გავდივართ სროლითი ვარჯიშობას ნიშანზე.

ყველა ასეულებში და გუნდებში ლენინის კუთხეები კარგათაა მოწყობილი, სადაც ყოველ დღიურად ვღებულობთ ახალ-ახალ გაზეთებს.

ნაწილთან ერთად ბანაკში გადმოტანილ იქნა ლეგიონის ბიბლიოთეკა, რომელიც მოწყობილია კარგ ადგილზე, და რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს ლეგიონის შემადგენლობას გათვითცნობიერების საქმეში.

ლეგიონის უფ.პოლიტშემადგენლობა დიდ დახმარებას გვიწევენ და ჩვენთან ერთად ამხანაგურად ცხოვრობენ ბანაკში.

**სამხკორი მ.—ო.**

# ᲒᲐᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲗ ᲡᲐᲭᲛᲔᲚᲘ!

**(სამხედრო მეთაურთა გაერთიანებული სკოლა.)**

თითქმის თვე სრულდება მას შემდეგ, რაც ჩვენი სკოლა საბანაკოდ გავიდა. ამ ხნის განმავლობაში და უფრო კი ბოლო ხანებში გვამზადებენ ძლიერ ცუდ სადილ-ვახშამს. „სუპი“, რომელიც ჩვენი სადილის მთავარ ულუფას შეადგენს, საშინელი შესახედავი და გემოსია. თითქმის სრულიად შავი, აქა იქ დასცურავს შავი მარცვლები.

ვახშამისათვის გვიმზადებენ ქაშს დაობებული ქონით, რომელსაც ისეთი სუნი უდის, რომ მისი ჭამა პირდაპირ შეუძლებელია. ხშირია შემთხვევა, რომ ვახშამისათვის დამზადებულ საჭმელში აღმოვაჩენთ მატლებს.

ამასთანავე ერთად, პურიც ძლიერ ცუდი უვარგისი, ტალახის ფერი, წყლით გაჟღენთილი და ცომი მზადდება. სავალალო ის არის, რომ პურის საცხობი სამნეო ნაწილის გვერდით არის და არავითარ ყურადღებას ის ამ მოვლენას არ აქცევს. არც სამნეო მეთვალყურე კომისია და სხვა ამხანაგები აქცევენ ამას ყურადღებას.

რას მივაწეროთ ეს გარემოება? ნუ თუ იმასაც ველარ ამჩნევენ ეს ამხანაგები, რომ ცუდმა პურმა და სხვამ მუცლის ტკივილი გაავრცელა კურსანტებში?

დაუყონებლივ მოაგვარეთ ეს საქმე. გააუმჯობესეთ კვება.

**სამხკორი ჩუმათელეთი.**

# როდის და გახსნით სასადილოს?

საქართვ. ტერ სამმართველოს და ტფილ. მაზრის სამხედრო კომისარიატის წითელ-არმიელებისა და თანამშრომელთათვის იყო სასადილო, სადაც ყოველდღიურად ვსადილობდით 90-მდე წითელ-არმიელები და თანამშრომლები, რასაკვირველია გაცილებით დაკლებულ ფასებში სხვა სასადილოებთან შედარებით და სადილიც კარგი მზადდებოდა. დღეს სამი კვირა შესრულდება, რაც ჩვენს სასადილოში სადილი არ მზადდება და მდგომარეობა პირდაპირ აუტანელია, განსაკუთრებით წ-არმიელებისა, რომლებიც არც ერთ ჯარის ნაწილთან არა ვართ მიმაგრებული კმაყოფაზე, რომ შევვეძლოს სადილობა სასადილოს მოწესრიგებამდე.

აღნიშნულ სამმართველოს სამნეო ნაწილი, რომლის პირდაპირი მოვალეობაა ამ საქმის მოგვარება, ძალიან ნაკლებათ ზრუნავს ამაზე და ვინ იცის კიდევ რამდენი ხანი მოუნდება სასადილოს მოწესრიგებას. უკვე სამი კვირა სრულდება და სასადილო კიდევ არ მუშაობს.

როდესაც შევეკითხეთ სასადილოს გამგეობას თუ რათ არ ამზადებდნენ ისინი სადილს, პასუხი ასეთია; „ცეცხლის მქრობელმა რაზმმა დაგვიშალ ათ."

როგორც გამოირკვა საქმის ვითარება შემდეგშია: ამ შენობის მესამე სართულში სცხოვრობს ვექილი გულულოვი, რომელსაც შეუტანია განცხადება ქალ. აღმასკომში, ვითომ აქ ცეცხლის გაჩენა ყოფილიყოს მოსალოდნელი, რის გამო ქალ. აღმასკომს განკარგულება გაუცია საქმის გამორკვევამდე, მხოლოდ ორი დღით შეეჩერებიათ სადილის მზადება. ამ საქმეზე აღმასკომმა დანიშნა კომისია, რომელმაც გამოარკვია, რომ აქ არავითარი ცეცხლი არ არის მოსალოდნელი. აქ მიზეზი ყოფილა მხოლოდ მოქ. გულულოვის „კაპრიზი". მოქ. გულულოვის ოჯახი შესდგება ოთხი, სულისაგან უჭირავს სამი ვეებერთელა დარბაზი სამზარეულოთი, დერეფნით და აბანოთი. ერთ-ერთ ოთახის კედელში ყოფილა გაყვანილი სამზარეულოდან საკვამლე მილი და მას აშინებს, ამ მილიდან ცეცხლის გაჩენა.

რაშია საქმე! ნუ თუ მოქ. გულულოვის „კაპრიზის" გულისათვის რიცხვით 90-მდე წ. არმიელებმა და თანამშრომლებმა მშივრები უნდა ვიაროთ? ჩვენ, აღნიშნულ კომისარიატისა და სამმართველოს წითელი-არმიელები მოვითხოვთ, რათა ამხ. ნ. მელითაურმა იზრუნოს სასადილოს დროზე მოწესრიგებაზე და რაც შეიძლება ადრე გახსნას სასადილო.

ამხ. მონდობილობით

ვასო ოქკურელი.

# უწყლობა გვაწუხებს.

**მეხუთე ლეგიონის საკომენდანტო ოცეული.**

ლეგიონის საკომენდანტო ოცეულის წითელ არმიელები დიდ გაჭირვებას განვიცდით უწყლობის გამო, რომელიც გამოიხატება შემდეგში:

ხშირი შემთხვევაა, რომ როდესაც ავდგებით დილით პირის დასაბანი წყალი არა გვაქვს. წითელ არმიელები ზოგიერთები რიონზე გარბიან პირის დასაბანათ, ზოგი კი მთელი დღე პირდაუბანელი რჩება.

გვაქვს წყალსადენი მილი, რომელიც რამდენიმე ხანს გატეხილი იყო და არავინ ყურადღებას არ აქცევდა. ამის გაკეთება იკისრა და გააკეთა კიდეც საკომენდანტო ოცეულის წითელ არმიელმა ამხ. შაქარაშვილმა. მიუხედავათ ამისა წყალი მაინც არ მოდის სისტემატიურად. ხშირად გვიკეტავენ წყალს და არ უშვებენ ჩვენსკენ. ამის გამო ჭუჭყიანი ჯამებიც კი ვერ დაგვირეცხია.

ამხ. სამნეო ნაწილის უფროსო, მიაქციე ყურადღება ამ მოვლენას და გამოასწორე ეს საქმე.

სამხკორი **ტრაქტორი.**

# რადიო კუთხე.

**მოკლე რადიო ტალღები და ავიაცია.**

ინგლისის საჰაერო ფლოტში „სრულიად საიდუმლოდ" სწარმოებს ცდები რადიო ტელეფონის გამოყენებისათვის ჰაეროპლანების ერთმანეთთან ურთიერთობისათვის. თუ რამდენათ ხელსაყრელია ეს „საიდუმლო ცდები" შეიძლება იქედან დავასკვნათ, რომ ზოგიერთ რადიო მოყვარულებმა თავისი აპარატების საშუალებით შესძლეს მათი მოსმენა.

**ანტენა-როგორც მეხის ასაცდენი საშუალება.**

აქამდე იმ აზრის იყვენ, რომ სახლის თავებზე ანტენის გამართვა მეტის მეტად საშიში არის, რადგან შესაძლებელია ჭექა ქუხილის დროს მეხის დაცემა გამოიწვიოსო. მართლაც ბევრი სპეციალისტებისათვისაც გაუგებარი იყო, თუ როგორ შეიძლებოდა, რომ ანტენა საშიში არ ყოფილიყო ამ მხრივ.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ რაც გერმანიაში ქ. ლეიპციგის ფიზიკოს პროფესორი გამოვიდა დასაბუთებული მოხსენებით, სადაც ის ამტკიცებს, რომ წესიერად დადგმული ანუ გამართული ანტენა, არა თუ მეხის დაცემის გამომწვევია და საშიში სახლებისათვის, არამედ პირიქით იცავს სახლს მეხისაგან. ამნაირად სახლის თავებზე ანტენების გამართვა თუ ის დადგმული იქნება ისე როგორც საჭიროა სრულიად არ არის საშიში.

**მომავალი უძლიერესი რადიო სადგური რომში.**

რომში ამ ჟამად აშენებენ უძლიერესი ძალის რადიო სადგურს. სადგურის ანტენას აქვს გახსნილი მრავალკუთხედის სახე და გაჭიმულია 6 უზარმაზარი სიმაღლის ანძებზე. თითეულის სიმაღლე უდრის 210 მეტრს.

**ბრმა რადიო ტეხნიკოსი.**

ნიუ-იორკში (ამერიკა) იმყოფება იტალიელი რადიო ტეხნიკოსი დეო ალონზო. ის უსინათლო ბრმაა.

მიუხედავად ამისა ამერიკაში ამ ჟამად ის ითვლება რადიო მიმღები აპარატის ერთ საუკეთესო ამწყობათ.

მან განავითარა თითებში ისეთი მგრძნობელობა, რომ მთელ აპარატს აწყობს მისი უმცირესი ნაწილებისაგან.

# ამბები სოფლებიდან.

— **სოფლების მიწერა.** ახალციხის სამაზრო აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა ცენტრის წინაშე, ახალციხის მაზრაზე სოფ. საკირეს და ქვაბისხევის მიწერის შესახებ.

— **მიწათ მოწყობის მიზნით.** სოფ. პანკისის (თელ. მ.) გლეხებმა დაადგინეს მოიწვიონ მიწის მზომელი ადგილობრივ მიწადმოწყობის საქმის მოსაგვარებლად.

— **გზის შეკეთება.** საქ. გზატკეც. სამმართველო შეუდგა ბაღდათის რაიონში (ქუთ. მაზრა) გზა-ტკეცილის შეკეთებას.

# ახალი ამბები.

— **კერძო რადიო—მიმღები.** ფოსტა-ტელ. კომისარიატმა დაადგინა გაადვილოს რადიო-მიმღებ სადგურების დადგმისათვის კერძო პირთათვის ნებართვების გაცემა. სადგურის მოწყობა ჯდება რამოდენიმე მანეთი.

— **ფოსტა—ავტომობილებით.** ფოსტა-ტელ. კომისარიატმა დასდო ხელშეკრულება საავტომობილო საზოგადოებასთან ფოსტის ავტომობილებით გადაზიდვის შესახებ.

— **საბინაო კოოპერატივი.** ტფ. აღმასკომმა დაადგინა საბინაო აღმშენებლობის კოოპერატივების შენობები გაანთავისუფლოს საანგარიშო წლის ბოლომდე შეფასებითი გადასახადებისაგან.

— **სოფლათ მუშაობისათვის.** ტფ. აღმასკომის სექციათა ბიურომ გამოყო 21 კაცი მაზრის სოფლებში კულტ. და ეკონომ. მუშაობის საწარმოებლათ.

— **საზაფხულო სკოლებს,** რომლებიც მეცადინეობას განაგრძობენ ზაფხულის განმავლობაში, პირველ რიგში მისცენ ბინები აგარაკებზე.

— **სიძველეთა დაცვა..** სახ. განათ. კომისარიატთან არსებულმა სიძველეთა დაცვის კომიტეტმა დაადგინა შეაკეთოს გელათის მონასტრის შენობა, მისი დაცვის მიზნით.

— **მუზეუმის გამდიდრება.** გადაწყვეტილია ბოდბის მონასტირიდან ჩამოტანილ იქნეს საქ. მუზეუმში ყველა მნიშვნელოვანი ისტორიული სიძველენი.

— **მეაბრეშუმეობისათვის.** საზ-ბა „აბრეშუმმა" მოსკოვში დაუკვეთა 500 ცალი აბრეშუმის საქსოვი დაზგა.

— **მინდვრის მავნებლებთან** ბრძოლის საწარმოებლათ, მავნებლებთან ბრძოლის ბიურომ შეიძინა 280 ფ. დარიშხანა და 100 ფუთი ფორმალინი.

— **კვ რას. სკოლის** გარეშე მუშაკთა სახლში შესდგება, ტფილისის საბიბლიოთეკო მუშაკთა კრება. მოწვეული არიან სამხ. ბიბლიოთეკათა მუშაკებიც. კრება შესდგება 12 საათზე.

— **საბავშვო თეატრი.** განათლების კომისარიატმა დაადგინა ტფილისში ახლო ხანში მოაწყოს, ცალკე შენობაში საბავშვო თეატრი.

— **შთაგონებით.** უზნეო ბავშვთა დაცვის განყოფილებამ 4 წლის განმავლობაში შთაგონებით და სპეციალური აღზრდით გამოასწორა 1.819 ბავშვი.

— **საპნის ქარხანა.** ცეკავშირის საპნის ქარხანაში უკანასკნელ ხანებში წარმოება შესამჩნევათ იზრდება. ქარხანა თვეში ამზადებს 2 ათას ფუთ სარეცხ საპონს.

— **საქართველოში** შემოტანილი ფართლეულობის ერთი მესამედი სღდება და ნაწილდება ცეკავშირის საშუალებით.

# პასუხი შეკითხვებზე.

**კითხვა.** ვმსახურებ შტაბში გადამწერათ, აქვს თუ არა უფლება საქმის მწარმოებელს მამუშავოს დაწესებულ დროის გარდა ზედმეტი საათები და თუ აქვს რა შემთხვევაში?

წ. არ. კნიცა.

**პასუხი.** თუ საქმე მოითხოვს სასწრაფოდ შესრულებას, ცხადია საქმის მწარმოებელს მაშინ უფლება აქვს გამუშავოთ, მხოლოდ თქვენ თუ ნებით ხართ დაქირავებული გადამწერა და არა ნამდვილ სამხედრო სამსახურში მყოფი წ.-არმიელი მაშინ თქვენ გეძლევათ ზედმეტ გასამრჯელოსთვის საფასური თანახმად სამხედრო რევ. საბჭ. ბრძანებისა № 264, 1924 და ისეც იმ შემთხვევაში თუ ასეთი ზედმეტი სამუშაო ნება დართულია ბრძანებით ლეგიონისადმი.

# აბა გამოიცანი?

**გასართობი № 1.**

აიღეთ ოთხი წუმწუმის ღერები. დასტეხეთ შუა-შუა ისე, რომ ერთმანეთს სრულიად არ მოაცილოთ. შემდეგ აიღეთ ფინჯანი და დააწყვეთ ისე, რომ გადამტვრეული თავებით შესდგეს პატარა წრე (ერთი-ერთმანეთზე გრულშამო მიწყობით). აიღეთ ერთი წვეთი თბილი წყალი და ჩააწვეთეთ, გადამტვრეული თავებისაგან გაკეთებულ პაწია წრეში. ნახეთ რა მოხდეს.

# ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ი. ბარელაძეს.** კორესპონდენცია, „მოსპეთ ასეთი ნაკლი" წვრილმანია. კარგი იქნება კედლის გაზეთისათვის.

**ამხ. ძირულელს.** თქვენი წერილი: „მიაქციეთ ყურადღება" გადაეგზავნება ნაწილის სამხკომს.

**ამხ. ხ. კირილეს.** კორესპონდენცია „რა არის მიზეზი" არ დაიბეჭდება. ძველი ტანისამოსის ჩამორთმევა წითელ-არმიელისათვის ახალის დარიგების დროს, საერთო წესია.

**ამხ. შანშიაშვილს.** წერილები სწერეთ ერთ გვერდზე და სუფთად, თორემ არ დაიბეჭდება.

**ამხ. მ—სკის.** წერილი „მეხუთე ლეგიონი" არ გამოდგება.

**ამხ. ყურაშვილს.** თქვენი წერილი გაზაფხულზე გამოწვევის შესახებ გადაეცით ნაწილის საკავშირო—საკონსულტაციო ბიუროს.

**ამხ. წიწაკას.** კორესპონდენცია „მოსპეთ ბიძაშვილობა" ძლიერ წვრილმანია. არ გავა.

**ამხ. ბზიკს** (მეხუთე ლეგ.) გვაცნობეთ თქვენი ვინაობა, ისე თქვენი კორესპონდენცია არ დაიბეჭდება.

**ამხ. შამას.** წერილი „მომეცით ბინა" არ გავა. მიმართეთ სათანადო ორგანოს.

პასუხის მგებელი რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე.**

# განცხადებები

## ვის აქვს საწინააღმდეგო.

შემოსულია განცხადებები კომპარტიის კანდიდატად მიღების და კომპარტიის კანდიდატობიდან წევრებათ გადარიცხვის შესახებ მე-3-ე ქართულ მსრ. ლეგიონის ბიურო-კოლექტივში შემდეგი ამხანაგების მიერ: 1. კომპარტიის კანდიდატათ მიღებაზე წით. არმიელ ამხ. იპოლიტე გულორდავა გიორგისძის და 2. ათასეულის მეთაურ პოლიკარპე გედევანისძე კევლიშვილის კომპარტიის კანდიდატობიდან კომპარტიის წევრად გადარიცხვის შესახებ.

თუ ვინმემ იცით უარყოფითი ზემოხსენებულ პირებზე გთხოვთ გვაცნობოთ მე-3-ე ქართულ მსრ. ლეგიონის ბიურო-კოლექტივში, ერთი კვირის განმავლობაში გაზეთში გამოქვეყნებიდან.

ბ. კ. ტეხ. მდივანი **ბალათურია.**


## 1-ლი და მე-2-ე ქართულ დივიზიების მეთაურთა და პოლიტ-ხელთა საყურადღებოთ.

ქ. ტფილისში გახსნილია ცენტრალურ სამხედრო გაზეთის „**კრასნაია ზვეზდა**"-ს გამომცემლობის ამიერ-კავკასიის განყოფილება.

**მიიღება ხელის მოწერა ყოველ დღიურ სამხედრო გაზეთ „კრასნაია ზვეზდა"-ზე** და სამხედრო პოლიტიკურ ჟურნალ „**სპუტნიკ პოლიტრაბოტნიკა**"-ზე. („პოლიტ-მომუშავის თანამგზავრი")

**ხელის მოწერის ფასი**

„კრასნაია ზვეზდა" 1——თვეში ——1 მანეთი
3— ———— 2„ 90 კაპ.

„სპუტნიკ პოლიტრაბოტნიკა"
1———————80 კაპ.
3—————2 მან 30 კაპ.

**განყოფილებასთან გახსნილია აგრეთვე სპეციალური სამხედრო წიგნების მაღაზია.**

**ყოველდღიური მიღება ახალი წიგნების ყველა საკითხებზე სამხედრო ნაწილებს ეძლევათ შეღავათი და ნისიად.**

**მისამართი: ქ. ტფილისი, თავისუფლების (ყოფ. ერევნის) მოედანი № 3.**


ნ. ღ. ს. ც. **სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.**